პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი ____ სექტემბერი, 2024 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 06 სექტემბერი N5/51394 წერილის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩა N127-ის მიმდებარედ არსებული 441,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.26.02.613).

2. ეთხოვოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრაცია.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 06 სექტემბრის N5/51394 (N06-142425060-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოში წარდგენილია ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 26 აგვისტოს N14-1424239506 და სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს (N09/8977, 03.09.2024წ) კორესპონდენციები, რომელშიც დასმულია საკითხი ქალაქ ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩა N127-ის მიმდებარედ არსებული 441,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.26.02.613) სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ, შემდგომში მისი სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია და ითხოვს, რომ განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩა N127-ის მიმდებარედ 441,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.26.02.613) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემა, მისი შემდგომში სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩა N127-ის მიმდებარედ არსებული 441,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, მისი შემდგომში სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე